# გიდის პროფესია  საქართველოში - კურიკულუმის ანალიზი

**ეკატერინე ვაჟიკაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად.*

პროგრამა: უმაღლესი განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი,2019**

# განაცხადი

წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ნაშრომში წარმოდგენილია ჩემი ნამუშევარის ორიგინალი და არ შეიცავს სხვა თანამოსაზრეების მიერ აქამდე შედგენილ ტექსტებს ან გამოუქვეყნებელ სტატიებსა და მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის წარმოდგენილი ციტირების სათანადო წესების დაცვით.

ეკატერინე ვაჟიკაშვილი

თბილისი, 2019

# აბსტრაქტი


სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში გიდის პროფესიული განათლების პროგრამების კურიკულუმის ანალიზის მცდელობას ორი კრიტიკული ქეისის მაგალითზე.

კლევისათვის შერჩეული ორივე  პროვაიდერი საქართველოში გიდების მომზადების კუთხით ხანგრძლივი გამოცდილების მქონე, ცნობადი და პოპულარული აქტორია.

კურიკულუმის ანალიზი კვლევის ფარგლებში გულისხმობდა: ა) გიდის პროფესიის სასწავლო პროგრამების ფორმირების და განხორციელების კუთხით ძირითადი გამოწვევების ანალიზს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;  ბ) სამიზნე ქეისების კურიკულუმის დოკუმენტების შინაარსობრივ ანალიზს; და გ) დაინტერესებული მხარეების (სამიზნე პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების) დამოკიდებულებების კვლევას სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით).

კვლევა აჯამებს მოსაზრებებს გიდის მომზადების პროგრამების შემდგომი გაუმჯობესების კუთხით საქართველოში. იმედი გვაქვს, რომ მისი შედეგები საინტერესო იქნება როგორც პროფესიული პროგრამების კურიკულუმის კვლევით დაინტერესებულ პირთათვის, ასევე პრაქტიკოსებისთვის და ხელს შეუწყობს საქართველოსათვის ამ ძალიან მნიშვნელოვანი პროფესიული მიმართულებით სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.



**ძირითადი საძიებო სიტყვები** :  გიდის პროფესია, კურიკულუმი, სწავლის შედეგები,

# Abstract

The following Master thesis is an attempt to analyze the curriculum of the guide vocational education programs in Georgia based on two critical case studies.

Both providers selected for this case study are extremely experienced and popular in Georgia.

The analysis of the curriculum included: a) analysis of the main challenges in the creation and implementation of the curriculum in the guiding profession throughout Georgia and abroad; b) content analysis of the target case curriculum documents; And (c) studying the attitudes of stakeholders (students and graduates of target programs) related to the curriculum).

The study summarizes opinions for further developments of guide training programs in Georgia. We hope that the following results will be useful for both practitioners and researchers interested in the curriculum of vocational programs and will help to improve the quality of teaching and learning process in this very important professional field in Georgia.



**Key words**: guide profession, curriculum, learning outcomes

## მადლობა


განსაკუთრებული მადლობა კვლევაში მონაწილე "ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის" ადმინისტრაციას კვლევის დაგეგმვასა და ადმინისტრირებაში აქტიური მონაწილეობისათვის: სასწავლო პროცესის მენეჯერს ლამზირა აბაიაძეს, ხარისხის მართვის მენეჯერს ლიკა ზაალიაშვილს, საქმისმწარმოებელს მარიამ აბაშვილს, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს თეონა კახობერაშვილს.

ასევე, მადლობას ვუხდი გიდების სკოლის "ნიუკაზი" ადმინისტრაციას, კვლევაში გაწეული მხარდაჭერისა და დახმარებისათვის.

კვლევის მიგნებები ეყრდნობა ორივე სასწავლებლის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებებს. მოცემული ნაშრომის შეექმნა შეუძლებელი იქნებოდა მათი ჩართულობისა და მოტივაციის გარეშე.

ასევე, მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ, თამარ ბრეგვაძეს გაწეული შრომისა და დახმარებისთვის.